საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000023477048220

№ 02-28-R

07 / თებერვალი / 2020 წ.

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რებრენდინგის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას კონსერვატორიის რებრენდინგის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
- მარიამ ყარალაშვილი
- სოფიო ხაჭაპურიძე
- ხათუნა იოსავა
- მაია სიგუა
- თეონა ლომსაძე
- დავით ხავთასი
- ელენე ჭავჭანიძე
- ივერი კეკენაძე
2. სამუშაო ჯგუფს დაევალოს კონსერვატორიის საიმიჯო პროდუქციის დაგეგმვა, აგრეთვე რებრენდინგისთვის აუცილებელი კონცეფციის ჩამოყალიბება.
3. სამუშაო ჯგუფის მუშობაზე პასუხისმგებელობა დაეკისროს მარიამ ყარალაშვილს.
4. დაევალოს მარიამ ყარალაშვილს სამუშაო ჯგუფებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით რექტორთან ანგარიშის ყოველი თვის ბოლო სამშაბათს წარდგენა.

5. ბრძანების სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის დაგზავნა დაევალოს კანცელარიას.
6. კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებგვერდის ადმინისტრატორს.
7. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის კანცელარიას.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე